

ევროპული კონვენცია პირთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის
შეძენისა და ფლობის კონტროლის შესახებ

ქ.სტრასბურგი, 1978 წლის 28 ივნისი

პრეამბულა

ქვემოთ ხელისმომწერი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,
ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია, მის წევრებს შორის უფრო მეტი
ერთიანობის მიღწევა;

ითვალისწინებენ დანაშაულის ჩადენისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების
ზრდით გამოწვეულ საფრთხეს;

ესმით ის ფაქტი, რომ ასეთი ცეცხლსასროლი იარაღი ხშირად შეძენილია
საზღვარგარეთ;

სურთ შექმნან საერთაშორისო დონეზე ცეცხლსასროლი იარაღის საზღვრებს
მიღმა კონტროლისა ეფექტიანი მეთოდები;

იზიარებენ იმ აზრს, რომ აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ხელს
არ შეუშლის საერთაშორისო ვაჭრობას და არ გამოიწვევს არაპრაქტიკულ და
არასათანადო სასაზღვრო კონტროლს, რაც წინააღმდეგობას შეუქმნის საქონლისა და
პირთა თავისუფალი გადაადგილების თანამედროვე მიზნებს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

კარი I - განსაზღვრებანი და ძირითადი დებულებები

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის:

a. “ცეცხლსასროლი იარაღის” მნიშვნელობა მოცემულია წინამდებარე კონვენციის
პირველ დანართში;

b. “პირი” ასევე ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს საქმიანობის ადგილი
ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე;

c. “დილერი” ნიშნავს პირს, რომლის ვაჭრობა ან საქმიანობა მთლიანად ან
ნაწილობრივ მოიცავს ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებას, გაყიდვას, შეძენას,
გადაცვლას ან ქირაობას.

d. “რეზიდენტი” ნიშნავს პირს, რომელსაც აქვს საცხოვრებელი ადგილი
ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ამის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
(72) 1 რეზოლუციის დანართის მე-9 წესის გაგებით.

მუხლი 2

ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შესაბამისი
ადმინისტრაციული ხელისუფლების მეშვეობით დახმარება გაუწიონ ერთმანეთს,
ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ბრუნვის აღმოფხვრაში და ერთი სახელმწიფოს
ტერიტორიიდან მეორეს ტერიტორიაზე გადატანილი ცეცხლსასროლი იარაღის
მოძებნისა და ადგილმდებარეობის დადგენის საქმეში.

მუხლი 3

თითოელი ხელშემკვრელი მხარე თავისუფალია მიიღოს ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული კანონები და წესები, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი კანონები და წესები არ ეწინააღმდეგება შინამდებარე კონვენციის დებულებებს.

მუხლი 4

წინამდებარე კონვენცია არ გამოიყენება ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებასთან (გრანსაქციასთან), რომელშიც ყველა მხარეები არიან სახელმწიფოები ან მოქმედებენ სახელმწიფოთა სახელით.

კარი II - გრანსაქციათა შეგყობინება

მუხლი 5

1. თუ ერთ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მდებარე ცეცხლსასროლი იარაღი მიჰყიდეს, გადასცეს ან სხვაგვარად მიაკუთვნეს სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე რეზიდენტ პირს, პირველი მხარე აგყობინებს ამ უკანასკნელს ამის თაობაზე, მე-8 და მე-9 მუხლებში გათვალისწინებული წესით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა გამოყენების მიზნებისათვის, თითოეული ხელშემკვრელი მხარე მიიღებს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი პირი ვინც გაყიდის, გადასცემს ან სხვაგვარად აკუთვნებს მის ტერიტორიაზე მდებარე იარაღს, მიაწვდის ამ მხარის კომპეტენტურ ხელისუფლების ორგანოს გრანსაქციის დეგალებს.

მუხლი 6

თუ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მდებარე ცეცხლსასროლი იარაღი მუდმივად და მფლობელის შეუცვლელად გადაგანილია სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, პირველი მხარე აგყობინებს ამ უკანასკნელს, მე-8 და მე-9 მუხლებში გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მუხლი 7

მე-5 და მე-6 მუხლებში მითითებული შეგყობინება, ასევე უნდა გაეგზავნოს იმ ხელშემკვრელ მხარესაც, რომლის ტერიტორიის გავლითაც ხდება ცეცხლსასროლი იარაღის გადაგანა გრანზიტით, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო, რომლის ტერიტორიიდანაც ის იგზავნება ასეთ ინფორმაციას საყურადღებოდ ჩათვლის.

მუხლი 8

1. მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებში მითითებული შეგყობინება იგზავნება შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში. ხელშემკვრელი მხარეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ, რომ შეგყობინება მოხდეს გრანსაქციამდე ან მასთან დაკავშირებულ გადაცემამდე, ხოლო თუ ეს ვერ მოხერხდა, ამის შემდეგ წეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში

2. მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებში მითითებული შეგყობინებები განსაკუთრებით,

აღნიშნავს:

a. იმ პირის ვინაობას, პასპორტის ან პირადობის მოწმობის ნომერსა და მისამართს, რომელსაც შესაბამისი ცეცხლსასროლი იარაღი მიჰყიდეს, გადასცეს ან სხვაგვარად მიაკუთვნეს ან რომელსაც მუდმივად გადააქვს ცეცხლსასროლი იარაღი სხვა ხელშემკვრელი მხარის გერიგორიაზე მფლობელის შეუცვლელად;

b. შესაბამისი ცეცხლსასროლი იარაღის ტიპს, მოდელსა და მახასიათებლებს, ისევე როგორც მის ნომერს ან სხვა ნებისმიერ დამახასიათებელ ნიშანს.

მუხლი 9

1. მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებში მითითებული შეგყობინება იგზავნება ხელშემკვრელ მხარეთა მიერ დანიშნულ ხელისუფლების ორგანოებს შორის.

2. საჭიროების შემთხვევაში, შეგყობინება შეიძლება გაიგზავნოს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (INTERPOL) მეშვეობით.

3. ნებისმიერი სახელმწიფო, რაგიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში მიუთითებს იმ ხელისუფლების ორგანოებს, რომლებსაც უნდა მიეწოდოს შეგყობინება. ის შემდგომში აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთ ხელისუფლების ორგანოების ნებისმიერი შემდგომ შეცვლას.

კარი III - ორმაგი უფლებამოსილება (ნებართვა)

მუხლი 10

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე მიიღებს შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ მის გერიგორიაზე მდებარე არცერთი ცეცხლსასროლი იარაღი არ მიჰყიდონ, გადასცენ ან სხვაგვარად მიაკუთვნონ მის არარეზიდენტ პირს, რომელმაც წინასწარ არ მოუპოვებია უფლებამოსილება (ნებართვა) სსენებული ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან.

2. ეს უფლებამოსილება (ნებართვა) არ გაიცემა მანამდე, სანამ კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოები არ დარწმუნდებიან, რომ შესაბამის გრანსაქციაზე უფლებამოსილება (ნებართვა) იმ პირზე გაცემულია იმ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს მიერ, რომლის რეზიდენტიცაა ეს პირი.

3. თუ ეს პირი მფლობელობაში იღებს ცეცხლსასროლ იარაღს იმ ხელშემკვრელი მხარის გერიგორიაზე, სადაც გრანსაქცია ხდება, პირველ პუნქტში მითითებული უფლებამოსილება (ნებართვა) გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში და ასეთი პირობებით, როდესაც უფლებამოსილება (ნებართვა) მინიჭებული ექნება გრანსაქციას, რომელშიც მონაწილეობენ ხელშემკვრელი მხარის რეზიდენტები.

4. წინამდებარე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული უფლებამოსილება (ნებართვა) შეიძლება შეიცვალოს საერთაშორისო ლიცენზიით.

მუხლი 11

ნებისმიერი სახელმწიფო რაგიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირებისას დაამუსტებს თუ მისი რომელი ხელისუფლების ორგანო იქნება კომპეტენტური მე-10 მუხლის მეორე პუნქტში მითითებული უფლებამოსილების (ნებართვის) გაცემისათვის.

კარი IV – დასკვნითი დებულებები

მუხლი 12

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ მესამე ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან სამთვიანი ვადის მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. იმ ხელმომწერი მხარისათვის, რომელმაც შემდგომში მოახდინა რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, კონვენცია ძალაში შევა რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან სამთვიანი ვადის მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 13

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მისაერთებლად მოიწვიოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო. ასეთი მოწვევის შემცველი გადაწყვეტილება შესაბამისობაში იქნება ევროპის საბჭოს სტატუსის მე-20 d. მუხლთან და მიიღებს ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოების ერთსულოვან თანხმობას, რომლებიც არიან წინამდებარე კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები.

2. ასეთი მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებით, რომელიც ძალაში შევა მისი დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 14

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმწიფის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას, შეუძლია განსაზღვროს გერიგორია ან გერიგორიები, სადაც იმოქმედებს წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას ან ნებისმიერ შემდგომ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი წარდგენილი განცხადებით შეუძლია გააფართოოს წინამდებარე კონვენციის გამოყენება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა გერიგორიაზე ან გერიგორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობისთვისაც იგი არის პასუხისმგებელი ან რომელთა სახელითაც უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებანი.

3. წინამორბედი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ასეთ განცხადებაში მითითებული ნებისმიერი გერიგორიის მიმართ, შეიძლება უკან იქნეს გამოტანილი გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. ასეთი გაუქმება ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 15

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას შეუძლია განაცხადოს, რომ იგი სარგებლობს წინამდებარე კონვენციის II დანართში გათვალისწინებული ერთი ან მეტი დათქმით.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც წინამორბედი პუნქტის შესაბამისად გააკეთა დათქმა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით შეუძლია მისი სრული ან ნაწილობრივი გამოგანა, რაც ძალაში შევა მისი მიღების თარიღიდან.

3. მხარეს, რომელმაც ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გააკეთა დათქმა, არ შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი სხვა მხარის მიერ იმ დებულების გამოყენება, რომელთან მიმართებაშიც გაკეთდა დათქმა; თუმცა, თუ მისი დათქმა ნაწილობრივი ან პირობითია, მას შეუძლია მოითხოვოს მისი მისი გამოყენება იმ ფარგლებში, რომლებშიც თვითონ წამოაყენა იგი.

მუხლი 16

1. ხელშემკვრელ მხარეებს არ შეუძლიათ ერთმანეთს შორის დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებანი, წინამდებარე კონვენციის მიერ მოწესრიგებულ საკითხებზე, გარდა იმ მიზნებისათვის, რომ შეავსონ მისი დებულებები ან ხელი შეუწყონ მათში ჩამოყალიბებული პრინციპების გამოყენებას.

2. თუმცა, თუ ორი ან მეტი ხელშემკვრელი მხარე დაამყარებს ან უკვე დაამყარა ამ საკითხთან დაკავშირებული ურთიერთობა ერთგვარი კანონმდებლობის ბაზაზე ან სპეციალური სისტემით, რომლებიც ითვალისწინებენ უფრო მოცულობით ვალდებულებებს, მათ აქვთ უფლება მოაწესრიგონ ასეთი ურთიერთობა, წინამდებარე კონვენციის დებულებების მიუხედავად.

3. ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად წყვეტენ წინამდებარე კონვენციის პირობათა გამოყენებას ამ საკითხებზე თავიანთ ურთიერთობაში, შეატყობინებენ ამის შესახებ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 17

1. ევროპის საბჭოს კრიმინალურ პრობლემათა ევროპული კომიტეტი ინფორმირებული იქნება წინამდებარე კონვენციის გამოყენების თაობაზე და მიიღებს ყველა სათანადო ზომას, რათა ხელი შეუწყოს ნებისმიერი იმ სირთულის მეგობრულ მოწესრიგებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისი განხორციელებისას.

2. ევროპის საბჭოს კრიმინალურ პრობლემათა ევროპულ კომიტეტს შეუძლია, მომავალი ტექნიკური, სოციალური და ეკონომიკური წინსვლის შესაბამისად, ჩამოაყალიბოს და მიაწოდოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წინადადებანი, რომელთა დანიშნულებაა წინამდებარე კონვენციის დებულებათა შეცვლა ან შევსება და განსაკუთრებით, I დანართის შინაარსის შეცვლა.

მუხლი 18

1. ომის ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა შემთხვევაში, ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიიღოს წინამდებარე კონვენციის დებულებებისაგან განსხვავებული წესები, რომლებიც ძალაში შევლენ დაუყოვნებლივ. ნებისმიერი ასეთი განსხვავების შემოღებისა და შეჩერების შესახებ, იგი შეაგყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნის სახელზე მიმართული შეგყობინების მეშვეობით. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეგყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 19

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეაგყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდა წინამდებარე კონვენციას:

- a. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის ნებისმიერი დეკონირების თაობაზე;
- c. მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად, მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
- d. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერი განცხადების ან შეგყობინების მიღების თაობაზე;
- e. მე-11 მუხლის დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერი განცხადების ან შეგყობინების მიღების თაობაზე;
- f. მე-14 მუხლის დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერი განცხადების ან შეგყობინების მიღების თაობაზე;
- g. მე-15 მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერი დათქმის მიღების თაობაზე;
- h. მე-15 მუხლის მეორე პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერი დათქმის გამოგანის თაობაზე;
- i. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერი შეგყობინების მიღების თაობაზე, და ერთგვარი კანონმდებლობის ან სპეციალური სისტემის თაობაზე;
- j. მე-18 მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერი შეგყობინების მიღების თაობაზე, და ასეთ შემთხვევაში, განსხვავების შემოღებისა და შეჩერების თარიღების შესახებ;
- k. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერი შეგყობინების მიღების თაობაზე, და დენონსირების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

რის დასტურადაც, ამისათვის სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემოთ ხელისმომწერებმა, მოვაწერეთ ხელი წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ქ.სტრასბურგში, 1978 წლის ივნისის თვის 28-ე დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ერთ ეგზემპლარად, ამასთან ორივე ტექსტი თანაბრად ავტენტიკურია და ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური

მდივანი გაუგზავნის დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ ხელმძღვანელს და მიერთებულ სახელმწიფოს.

დანართი I

A. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის “ცეცხლსასროლი იარაღი” ნიშნავს:

1. ნებისმიერ საგანს, რომელიც გამიზნულია ან ადაპტირებულია როგორც იარაღი, რომლითაც გყვია ან სხვა ჭურვი, ან მომწამლავი გაზი, სითხე ან სხვა შემადგენლობა შეიძლება გამოსროლილი იქნეს აფეთქების, გაზის ან ჰაერის წნევის ან პროპელსის (ბიძგის) სხვა საშუალებით და, რომელიც მიესადაგება ერთ-ერთ ქვემოთმოყვანილ სპეციფიკურ აღწერას, გაგებულია, რომ ქვეპუნქტები a-დან f-ის ჩათვლით და ქვეპუნქტი i, მოიცავენ მხოლოდ ფეთქებადი საწვავის გამოყენებულ საგნებს:

a. ავტომატური იარაღები;

b. მოკლე იარაღები ნახევრად ავტომატური, ჯერით ან ერთი გასროლის მექანიზმით;

c. გრძელი იარაღები ნახევრად ავტომატური ან ჯერით გასროლის მექანიზმით ერთი სასროლი ლულით მაინც;

d. ერთი გასროლის გრძელი იარაღები, ერთი სასროლი ლულით მაინც;

e. გრძელი იარაღები ნახევრად ავტომატური ან ჯერითი მექანიზმით და მხოლოდ სწორარხოვანი ლულით;

f. პორტატიული სარაკეტო გამშვებები;

g. ნებისმიერი იარაღი ან სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც გამიზნულია, რათა საფრთხე შეუქმნან ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გოქსიკური ნივთიერებებისა ან კოროზიული საშუალებების გამოფრქვევით;

h. შეტვის ან დაცვისათვის გამიზნული ცეცხლის მფრქვეველი;

i. ერთი გასროლის გრძელი იარაღები მხოლოდ სწორარხოვანი ლულით;

j. გრძელი იარაღები, გაზის წვის (პროპელაციის) მექანიზმით;

k. მოკლე იარაღები, გაზის წვის (პროპელაციის) მექანიზმით;

l. გრძელი იარაღები, კომპრესირებული ჰაერის წვის (პროპელაციის) მექანიზმით;

m. მოკლე იარაღები, კომპრესირებული ჰაერის წვის (პროპელაციის) მექანიზმით;

n. იარაღები, რომლებიც პროპელაციას უწვევენ ჭურვს მხოლოდ რესორის (ზამბარის) მეშვეობით;

ყოველთვის იგულისხმება, რომ წინამდებარე პირველი პუნქტიდან გამორიცხული იქნება ის ნებისმიერი საგნები, რომლებიც სხვა შემთხვევაში მასში შევიდოდა:

i. რომლებიც მუდმივად იმყოფება გამოყენებისათვის გამოუდგარ მდგომარეობაში;

ii. მისი მცირე ძალის გათვალისწინებით არ ექვემდებარება კონტროლს იმ სახელმწიფოში, რომლიდანაც უნდა განხორციელდეს მისი გაგანა;

iii. გამიზნულია განგაშის, სიგნალიზაციის, სამაშველო, ცხოველთა ხოცვის, ჰარპუნიერების ან ინდუსტრიული ან გექნიკური მიზნებისათვის იმ პირობით, რომ ასეთი საგნები გამოიყენება მხოლოდ ჩამოთვლილი მიზნებისათვის;

iv. სიძველის გამო არ ექვემდებარება კონტროლს იმ სახელმწიფოში, რომლიდანაც უნდა განხორციელდეს მისი გაგანა.

2. ზემოხსენებულ პირველ პუნქტში შესული ნებისმიერი საგნის სასროლი

მექანიზმი, შიგთავსი, ცილინდრი ან ლულა.

3. ნებისმიერი ამუნიცია, რომელიც სპეციალურადაა გამიზნული, რათა გამოფრქვეულ იქნეს ზემოთმოყვანილი პირველი პუნქტის a-დან f ქვეპუნქტის ჩათვლით, i,j,k ან n ქვეპუნქტებში შესული საგნების მიერ.

4. შუქის გამოსხივებით გელესკოპური მხედველობის ან ელექტრონული შუქის გამაძლიერებელით გელესკოპური მხედველობის ხელსაწყოები, რომლებიც გამიზნულია, რათა მოერგოს ზემოთმოყვანილ პირველ პუნქტში შესულ საგნებს.

5. ნებისმიერი მარყუქი, რომელიც მიესადაგება ზემოთმოყვანილ პირველ პუნქტში შესულ ნებისმიერ საგანს.

6. ნებისმიერი ყუმბარა, ბომბი ან სხვა ჭურვი, რომელიც მოიცავს ფეთქებად ნივთიერებას ან გამომწვევ მოწყობილობებს.

B. შინამღებარე დანართის მიზნებისათვის:

a. “ავტომატური” აღნიშნავს იარაღს, რომელსაც შეუძლია ისროლოს აფეთქებით იმ ნებისმიერ ღროს, როდესაც სასხლეგი გამოიყენება;

b. “ნახევრად-ავტომატური” აღნიშნავს იარაღს, რომელიც ისვრის ჭურვს, ნებისმიერ იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ სასხლეგი არის გამოყენებული;

c. “ჯერით (განმეორებითი) მექანიზმი” აღნიშნავს იარაღს, რომლის მექანიზმიც სასხლეგის გარდა უნდა გამოიყენებოდეს ნებისმიერ იმ ღროს როდესაც იარაღი ისვრის;

d. “ერთი გასროლა” აღნიშნავს იარაღს, როდესაც ლულა ან ლულები უნდა ჩაიგვირთოს თითოეული გასროლის წინ;

e. “მოკლე” აღნიშნავს იარაღს, რომლის ლულა არ აღემატება 30 სანტიმეტრს და რომლის საერთო სიგრძე არ აღემატება 60 სანტიმეტრს;

f. “გრძელი” აღნიშნავს იარაღს, რომლის ლულაც 30 სანტიმეტრზე გრძელია და რომლის საერთო სიგრძე აღემატება 60 სანტიმეტრს.

დანართი II

ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ იტოვებს უფლებას:

a. არ გამოიყენოს წინამღებარე კონვენციის II კარი, ნებისმიერ ერთ ან მეტ საგანთან მიმართებაში, რომელსაც მოიცავს წინამღებარე კონვენციის I დანართის პირველი პუნქტის i-დან n-ქვეპუნქტების ჩათვლით და მე-2, მე-3, მე-4, მე-5 ან მე-6 პუნქტები;

b. არ გამოიყენოს წინამღებარე კონვენციის III კარი;

c. არ გამოიყენოს წინამღებარე კონვენციის III კარი, ნებისმიერ ერთ ან მეტ საგანთან მიმართებაში, რომელსაც მოიცავს წინამღებარე კონვენციის I დანართის პირველი პუნქტის i-დან n-ქვეპუნქტების ჩათვლით და მე-2, მე-3, მე-4, მე-5 ან მე-6 პუნქტები;

d. არ გამოიყენოს წინამღებარე კონვენციის III კარი, ორი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე რეზიდენტ დილერებს შორის ტრანსაქციებთან მიმართებაში.